



2862/3-98/22 2 30032022

2862/3-98/22

30-03-2022

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს,
ბატონ ლევან დავითაშვილს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

გთხოვთ, გვაცნობოთ, თქვენდამი დაქვემდებარებული შესაბამისი უწყებების გეგმის მიხედვით, კონკრეტულად როდისთვისაა გათვალისწინებული დუშეთის რაიონის შემდეგი სოფლების გაზომომარაგების დაწყება - ყოფილი ჟინვალი, საკრამული, ჩინთა, მლაშე, ხარხეთი, სალაჯური, ჩუბინიანთკარი, პავლეური, მანასეური, გოგნაური, გრიგოლიანთკარი, ჩირდილელიანთკარი, ცივწყარო, ჯულისი, ვაშლობი, დოლასქედი, ზემო არანისი, ყვავილი.

ბატონო ლევან, ვიმედოვნებთ, რომ თქვენგან არ მივიღებთ ისეთ ზოგად და არაფრისმთქმელ პასუხებს, როგორც თქვენი წინამორბედისგან უკვე გვაქვს; კერძოდ, 2021 წლის 23 დეკემბერის (N12492/3-129/21) და 2022 წლის 11 თებერვლის (N1150/3-129/22) წერილებზე პასუხები.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
დავით უსუფაშვილი



KA020104764701422

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი



MINISTER OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს 2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 23/2308

11 / აპრილი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს ბატონ
დავით უსუფაშვილს

თქვენი 2022 წლის 30 მარტის N2862/3-98/22 წერილის პასუხად დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით გაცნობებთ:

- სოფლების: ძლაშე, ჩინთი, საკრამულო და ყოფილი ჟინვალის მიმდებარე აშენებული გაზსადენები პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცა შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“ „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სოკარ ჯორჯია გაზისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ოქტომბრის N1821 განკარგულებით; თუმცა, შესაბამისი ხელშეკრულება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან კომპანიას ჯერ არ გაუფორმებია.
- სოფლების: ყვავილი, ზემო არანისი და ცივწყარო გამომომარაგების მიზნით აშენებული გაზსადენების შპს „სოკარ ჯორჯია გაზისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის მიზნით მომზადებულია საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი და უახლოეს პერიოდში წარედგინება საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.
- სოფლების: ხარხეთი, სალაჯური, ჩუბინაანთკარი, პავლეური, მანასური, გოგნაური, გრიგოლაანთკარი, ჩირდილეულიანთკარი, ჯულისი, ვაშლობი და დოღასქედი გაზიფიცირების მიზნით აშენებული გაზსადენების შპს „სოკარ ჯორჯია გაზისათვის“ გადაცემის მიზნით კომპანიასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

აქვე გაცნობებთ, რომ სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, მოგანოდოთ ინფორმაცია კონკრეტული ვადების თაობაზე, თუ როდის მოხდება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და კერძო კომპანია შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“ შორის შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელემბრონულად

ლევან დავითაშვილი